საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3687/01
13/04/2022

3687-01-2-202204131134

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი 2022 წლის 21 მარტის N06-1422080594 წერილის (სამინისტროს რეგისტრაციით 6331; 21.03.2022) პასუხად, რომელიც ეხება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით "ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა №14-ში, ყოფილი სპორტსკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.218) და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №7ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის" პროექტისა და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგ შენიშვნებს:

- თქვენ მიერ 2022 წლის 21 მარტის N06-1422080594 წერილით წარმოდგენილია ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის N24 დადგენილება და თანდართული „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა №14-ში, ყოფილი სპორტსკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.218) და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №7ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმა", თუმცა სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია/დასაბუთება.
- სტრატეგიულ დოკუმენტში არ არის ასახული სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან, მათ შორის „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებასთან მიმართება. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და ღონისძიებების შესახებ, კერძოდ ინფორმაცია გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების (საკ.კოდები: N05.24.05.218, N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 4,6-დან 14,0-მდე გაზრდის შესახებ.
- დოკუმენტში არ არის ასახული სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირების თვალსაზრისით, კერძოდ, მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის, რაც სკრინინგის ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ ინფორმაციას წარმოადგენს;

- კლიმატური პირობების აღწერისას (სკრინინგის განცხადების მე-4 თავი) მითითებული უნდა იქნას გამოყენებული ინფორმაციის წყაროები და მონაცემთა დაკვირვების პერიოდი. მიზანშეწონილია დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდეს სამშენებლო-კლიმატური ნორმების გათვალისწინებით, ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისად (იხილეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტი ,,სამშენებლო კლიმატოლოგია");
- რამდენადაც სგშ წარმოადგენს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მისი შედეგების შერბილების საშუალებას, გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები. წარმოდგენილი უნდა იყოს კლიმატის ცვლილების რისკები და საბაზისო მონაცემების/ინფორმაციის ანალიზი კლიმატის ცვლილების ასპექტებთან დაკავშირებით, აგრეთვე, კლიმატის ცვლილების სავარაუდო ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, მაგ., არსებული და სამომავლო სცენარები.
- სკრინინგის განცხადებაში გვ. 23 აღნიშნულია, რომ **„ქ. ბათუმში არსებობს სადამკვირვებლო სადგურები, სადაც პერიოდულად ხდება ჰაერის დამაბინძურებლებზე დაკვირვება, განთავსებულია რუსთაველის ქუჩაზე (დრამატულ თეატრთან), ანგისის პოლიციის შენობასთან, ლ. ასათიანის ქუჩაზე (ყინულის სახლთან), მაიაკოვსკის ქუჩაზე (ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელთან) და ფერიის მთაზე (საბაგიროს სადგურთან). ამის გარდა, აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ სადგურზე ჰაერის დამბინძურებლებზე დაკვირვება მიმდინარეობს საათობრივად, ხოლო დანარჩენ სადგურებზე – გარკვეული პერიოდულობით."** აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, გარდა აბუსერიძის ქუჩისა, სხვა ყველა მისამართზე ჩატარდა ინდიკატორული გაზომვები და ავტომატური სადგური მხოლოდ აბუსერიძის ქუჩაზე მდებარეობს. გვ.27 ცხრილი 15 -ში ნოემბრის თვის მონაცემები არის ჩასმული. ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება საქართველოში 2018 წლის 1 აგვისტოდან ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N383 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" მიხედვით, შესაბამისად ყველა დამაბინძურებელი განისაზღვრება მკგ/მ3-ში, მხოლოდ CO იზომება - მგ/მ3-ში. აღნიშნული საკითხი ასახული და დაზუსტებული უნდა იყოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.
- დაგეგმილი საქმიანობა უნდა განხორციელდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით, **რის შესახებაც შესაბამისი ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.**
- ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების, ნარჩენების და ნიადაგის დაბინძურების საკითხებთან დაკავშირებით **ინფორმაცია ზოგადი სახით არის წარმოდგენილი და არ არის აღწერილი კონკრეტულად რა ღონისძიებები იქნება გატარებული მათი დაბინძურების პრევენციის მიზნით. ასევე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის მასშტაბი.**
- არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების ვადების თაობაზე.
- 2022 წლის 21 მარტის N06-1422080594 **წერილზე თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები არ ემთხვევა მატერიალურად სამინისტროში წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რაც საჭიროებს გასწორებას და ელექტრონული და მატერიალური ფორმით შედგენილი დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას, რადგან ორივე ფორმით შედგენილი დოკუმენტები ადმინისტრაციული**

წარმოებისთვის სავალდებულო დოკუმენტებს წარმოადგენს და მათ შორის შეუსაბამობა, საჭიროებს დაზუსტებას.

- მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება, ნარჩენების მართვის კოდექსის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, რის შესახებაც ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს შესაბამის დოკუმენტაციაში.

გთხოვთ, წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რათა სამინისტრომ უზრუნველყოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე